# ახმეტის მუნიციპალიტეტის

# 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი

რას მოიცავს 2023 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

1. ახმეტისმუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ----------
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ნაშთები
3.ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ----------

მ.შ. ინფრასტრუქტურის განვითარება
დასუფთავება და გარემოს დაცვა
განათლება
კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი
ჯანმრთელობოის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების 2023წლის ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლები ----------

## ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე გზამკვლევი მომზადებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ

რას მოიცავს 2023 წლის ახმეტის  მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში?

1. გზამკვლევის მეშვეობით ყველა დაინტერესებული პირი გაიგებს თუ რას ნიშნავს ტერმინი ბიუჯეტი.გაეცნობა საბიუჯეტო პროცესის საფეხურებს.მიიღებს მოგვ ინფორმაციას 2023 წლის განმავლობაში მიღებული შემოსულობების მოცულობის და დასახული მიზნების მისაღწევად გაწეული ხარჯების თაობაზე.
2. 

   ტერმინი „ბიუჯეტი“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვისგან „Budget”, რაც ტომარას ნიშნავს. ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.

თანამედროვე გაგებით ბიუჯეტი არის განსაზღვრული პირის (ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოს და ა.შ.) შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალი, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით, ჩვეულებრივ ერთი წლით. უფრო კონკრეტულად ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობას წარმოადგენს.ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება მნიშვნელოვანია, რადგანაც მოქალაქეები გადასახადის გადამხდელები არიან და უფლება აქვთ იცოდნენ, რა ფინანსდება მათ მიერ გადახდილი გადასახადებით.

ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს

საბიუჯეტო პროცესი - საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. საბიუჯეტო პროცესი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების პროცესის კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური.

**საბიუჯეტო პროცესი :**

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს და საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით. ხოლო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს წარედგინება გასული წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

# 1.ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულებების გეგმა განსაზღვრული იყო
29554,5 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 29925,9 ათასი ლარი. წლიური გეგმის 101,3%
2022 წელს ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 29769,3 ათასი ლარი,ხოლო 2021 წელს 18953,9 ათასი ლარი




| | გეგმა | ფაქტი | _+ | % |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 29191.47 | 29382.996 | 191.5 | 100.7% |
| გადასახადები | 18998.4 | 19041.339 | 99.2 | 100.2% |
| გრანტები | 8961.37 | 8892.968 | -68.4 | 99.2% |
| სხვა შემოსავლები | 1231.7 | 1448.689 | 217.0 | 117.6% |




გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა - 18998.4 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 19041.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.2% საიდანაც

| | 2023 წ გეგმა | 2023 წფაქტი | _+ | % |
|---|---|---|---|---|
| **გადასახადები** | 18998.4 | 19041.339 | 42.939 | 100.2% |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 16598.4 | 16573.2 | -25.2 | 99.8% |
| ქონების გადასახადი | 2400 | 2468.139 | 68.139 | 102.8% |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1660 | 1686.357 | 26.357 | 101.6% |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0 | 18.568 | 18.568 | #DIV/0! |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 620 | 639.467 | 19.467 | 103.1% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 120 | 123.747 | 3.747 | 103.1% |




## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები გეგმასთან მიმართებაში 2023 წელს შემდეგნაირად განისაზღვრა

## სხვა შემოსავლები

| **დასახელება** | **2023 წლის გეგმა** | 2023 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **1,231.7** | 1448.7 | 117.6% |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **943.7** | 1051.8 | 111.5% |
| პროცენტები | **648.7** | 690.5 | 106.4% |
| რენტა | **295.0** | 361.2 | 122.5% |
| მშ. ბუნებრ რესურს მოსაკრ. | **150.0** | 248.3 | 165.6% |
| მიწის იჯარა | **145.0** | 112.9 | 77.9% |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **105.0** | 180.1 | 171.6% |
| 1.ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | **85.0** | 152.7 | 179.7% |

| | | | |
|---|---|---|---|
| სანებართვო მოსაკრებელი | **10.0** | 8.0 | 80.3% |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | **75.0** | 141.1 | 188.1% |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | **-** | | |
| 2. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | **20.0** | 27.4 | 137.0% |
| **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** | **183.0** | 197.0 | 107.6% |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | **-** | 19.8 | |

ადგილობრივი მოსაკრებელის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის შესრულებულია 188 % ით.რაც გამოწვეულია გასული წლის დავალიანების ამოღების შედეგად,რომელიც არის მუნიციპალიტეტის მიერ სასამრთლოზე წამოწყებული დავის შედეგი.

## 2. ბიუჯეტის ნაშთები

2023 წლის 1 იავრისთვის არსებულმა ნაშთმა შეადგინა 8329,6 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი სახსრების ნაშთის ოდენობამ შეადგინა 4010,9 ათ. ლარი, საიდანაც 1417,2 ათასი ლარი აისახა 2022 წლის ვალდებულებების დასაფარად, 2593,7 იყო საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი. (ე.ი.ადგილობრივი სახსრების ნაშთი 4010,9 სრულად აისახა 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში გამოსაყენებლად) ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთმა შეადგინა 4318,7 ათ. ლარი. აქედან 4135,2 ათ. ლარი აისახა 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში, გასული წლის ვალდებულებების დასაფარად, ხოლო 183,5 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთის სახით.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 6019.3 ათ ლარი, აქედან :

1. ადგილობრივი სახსრების ნაშთია 3985,9 ათ. ლარი, საიდანაც თავისუფალი ნაშთი შეადგენს 2549,5 ათას ლარს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 2033,4 ათ. ლარს (მ.შ. 279,2 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთი.

# 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის გადასახდელების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 32 067,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37 532,2) **85,4** პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 7398,0ათასი ლარით, ხოლო 2021 წლის მაჩვენებელს - 8614,4 ათასი ლარით.




3.



| სულ | მუნიციპალიტეტის ასიგნებები | 2023 წლის დაზუსტებული გეგმა | 2023 წლის ფაქტი | შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 6143.9 | 5385.6 | 87.7% |
| **02 00** | ინფრასტრუქტურის განვითარება | 15441.3 | 12806.4 | 82.9% |
| **03 00** | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3581.6 | 3218.6 | 89.9% |
| **04 00** | განათლება | 6515.1 | 6095.4 | 93.6% |
| **05 00** | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 3534.7 | 2982.7 | 84.4% |
| **06 00** | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2483.9 | 1747.4 | 70.3% |

❖ გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით



1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების  დასაფინანსებლად 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 3451,8  ათასი ლარი.  გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3376,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის 97,8%;
2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 2962,1ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2227,2 ათ. ლარი, წლიური გეგმის 75,2 %. აღნიშნული მუხლიდან დაფინანსდა
   - ✓ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება  -  288,9 ათასი ლარი
   - ✓  მივლინების ხარჯები  -  32,3 ათასი ლარი
   - ✓ ოფისის ხარჯები  - 206,5 ათასი ლარი.
   - ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები -  49,9 ათასი ლარი.
   - ✓ სამედიცინო ხარჯები - 1,0 ათასი ლარი.
   - ✓ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის  ხარჯები  - 765,0 ათასი ლარი (აქედან 461,1 ათ. ლარი არის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების, 173,0 ათ. ლარი არის საწვავის ხარჯი, 53,0 ათ. ლარი კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების, წვევამდელებისა და  ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი. ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები 17,7ათ. ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯი 58,7 ათ. ლარი).
   - ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება  - 876,8 ათასი ლარი (აღნიშნული მუხლიდან დაფინანსებულია გარე განათებასა და ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადი - 542,4 ათ. ლარი, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი -66,0 ათ. ლარი და სხვა ხარჯები).
3. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის წლიური გეგმა იყო 76,3 ათ. ლარი, გახარჯულია 75,1 ათ. ლარი. წლიური გეგმის 98,4 %.
4. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 9913,8 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 9568,6 ათასი ლარი. წლიური გეგმის 96,5%.
5. გრანტების წლიური გეგმა - 115,0 ათ. ლარი, ფაქტი - 115,0 შესრულება 100%.
   - ✓ (ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთისათვის გადარიცხული გრანტი) – 35,5 ათ. ლარი - (ტურიზმის განვითარებისთვის 29,5 ათ. ლარი, სკოლის მოსწავლეების დასაჯილდოვებლად სცენის  მოწყობისთვის 5,5 ათ. ლარი)
   - ✓ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოსათვის გადაცემული გრანტი - 80,0 ათ.ლარი.
6. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 745,9 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა  572,9 ათასი ლარი. შესრულება 76,8 %.
7. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა  განისაზღვრა 970,4 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 417,3 ათასი ლარი (საკრებულოს წევრების კომპენსაცია 107,1 ათ. ლარი, სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი - 36,1 ათ.ლარი. ამავე მიზნით საქართველოს მთავრობის #116 განკარგულებით გამოყოფილი 600,0 ათ. ლარიდან გახარჯულია 115,0 ათ. ლარი. საჯარო სკოლების წარჩინებით

კურსდამთავრებულთა დასაჯილდოვებლად 21,8 ათ. ლარი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია - 109,0 ათ. ლარი და სხვა ხარჯები.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19297,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯსაკმა - 15715,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81,4 %-ია.**

- **ვალდებულებების კლების მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 168,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100 %-ია.**

❖ არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

**ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

| **პროგ. კოდი** | **არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხევით** | **2023 წლის გეგმა** | 2023 წლის ფაქტი | |
|---|---|---|---|---|
| **01 00** | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **576.0** | 568.31 | 98.7% |
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **14,018.3** | 11502.86 | 82.1% |
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1,590.3** | 1389.78 | 87.4% |
| **04 00** | **განათლება** | **2,261.6** | 1891.85 | 83.7% |
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **710.1** | 233.00 | 32.8% |
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **140.6** | 129.59 | 92.2% |
| | **სულ არაფინანსური აქტივების ზრდა** | **19,296.9** | **15,715.4** | 81.4% |




**არაფინანსური აქტივების ზრდის ნაჩვენებელი პრიორიტეტების მიხედვით**

- **მუნიციპალიტეტის ვალდებულებების სესახებ ინფორმაცია**

სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 31.08.2016 წელს გაფორმდა გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულება ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის სპორტსკოლის რეკონსტრუქციისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის" შესახებ, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 1 239 251 ლარი (ძირითადი თანხა 752 455 ლარი, პროცენტი 486 796 ლარი). სესხის გადახდა დაწყებულია 2019 წლის იანვრიდან და 2023 წლის ჩათვლით დაფარულია 786942 ლარი .2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაფარი თანხის ოდენობაა 452309 ლარი.

2. ასევე - სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 12.07.2016 წელს გაფორმებული ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, ფონდმა სესხის სახით განახორციელა ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის გადმოცემა. საერთო ღირებულებაა 831 877 (ძირითადი თანხა 534 118 ლარი, პროცენტი 297 798 ლარი). სესხის გადახდა დაწყებულია 2018 წლიდან და 2023 წლის ჩათვლით დაფარულია 606683 ლარი. 2024 წლის 1 იანვრისათვის დასაფარია 225194 ლარი

## ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **15,441.3** | **12,806.4** | 82.9% |
| **02 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | **9,865.8** | **7,868.4** | 79.8% |
| **02 02** | წყლის სისტემების განვითარება | 1,904.1 | 1,799.2 | 94.5% |
| **02 02 01** | სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 1,107.1 | 1,104.1 | 99.7% |
| **02 02 02** | სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 250.0 | 221.6 | 88.6% |
| **02 02 03** | ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი | 547.0 | 473.5 | 86.6% |
| **02 03** | გარე განათება | 674.0 | 641.6 | 95.2% |
| **02 03 01** | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 340.0 | 320.8 | 94.4% |
| **02 03 04** | ა(ა)იპ  ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური | 334.0 | 320.8 | 96.0% |
| **02 05** | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 350.7 | 43.6 | 12.4% |
| **02 05 01** | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოტაცია | 350.7 | 43.6 | 12.4% |
| **02 06** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1,182.7 | 1,084.3 | 91.7% |
| **02 07** | ტურიზმი | 1,464.1 | 1,370.4 | 93.6% |
| **02 07 01** | ტურისტული ინფრასტურქტურის მოწყობა | 1,434.6 | 1,340.9 | 93.5% |
| **02 07 02** | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 29.5 | 29.5 | 100.0% |

## ---გზები

2023 წლის განმავლობაში, ახმეტის მუნიციპალიტეტში დაიგო 8581 გრძივი მეტრი ასფალტის საფარი, მოეწყო 900 გრძივი მეტრის ტროტუარები, 15 ათას კვ. მეტრზე მოეწყო კორპუსების ეზოები. საერთო ჯამში 21500 ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

2023 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჯამში გამოყოფილი იყო 9865,8 ათ. ლარი. აქედამ საკასო ხარჯმა შეადგინა გეგმის 79,8% - 7867,4 ათ. ლარი. მათ შორის:

ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3327,2 ათ. ლარი, გახარჯულია 2470,1 ათ. ლარი. გეგმის 74,2%. აქედან:

**დასრულდა შემდეგი ობიექტების რეაბილიტაცია:**

- ქ. ახმეტაში სავარგულებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია - საკასო ხარჯმა შეადგინა 22,9 ათ. ლარი
- ტბათანასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 10,0 ათ. ლარი
- სოფ. ხორბალოში მისასვლელი გზის პირველი ნაწილის რეაბილიტაცია - 482,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ბიოქიმიური ქარხნის მიმდებარედ მრავალბინიანი კორპუსის ეზოების რეაბილიტაცია - 166,7 ათ. ლარი
- ქვ. ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა #2) რეაბილიტაცია - 236,0 ათ. ლარი
- რეგ. პროექტების თანადაფინანსება - 331,4 ათ. ლარი
- ტექნიკური ზედამხედველობა - 121,4 ათ. ლარი
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 45,4 ათ. ლარი

**მიმდინარე პროექტები, რომელთა დასრულებაც მოხდება მიმდინარე წელს:**

- ქ. ახმეტაში ალაზნის პირველ შესახვევში მდებარე ეზოს რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 70,4 ათ. ლარს. 2023 წლის საკასო ხარჯია 14,1 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში ივ. ჯავახიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 136,2 ათ. ლარს. საკასო ხარჯი შეადგენს 43,4 ათ. ლარს
- ქ. ახმეტაში თამარის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსის ეზოების რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 151,1 ათ. ლარს. საკასო ხარჯი შეადგენს 30,2 ათ. ლარს.
- ქ. ახმეტაში სანაპიროს ქუჩაზე კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 72,0 ათ. ლარს. საკასო ხარჯი 28,1 ათ. ლარს.
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე, ავტოსადგურთან, კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 105,7 ათ. ლარს. საკასო ხარჯი -54,9 ათ. ლარს.

- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მუსიკალური სკოლის ჩიხის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 24,1 ათ. ლარს. საკასო ხარჯი 9,4 ათ. ლარს.
- ქ. ახმეტაში რუსთაველის პირველი ჩიხის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 160,3 ათ. ლარს. საკასო ხარჯი 75,9 ათ. ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გზების მიმართულებით 2022 წლის ნაშთიდან გახარჯულია 799,3 ათ. ლარი. დასრულებულია შემდეგი ობიექტები:

- ქ. ახმეტაში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია - 59,5 ათ. ლარი;
- რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის და თანხმლები ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსება (#1419 განკ.) – 1,4 ათ. ლარი;
- 2022 წლის რეგ. პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის თანადაფინანსება - 632,6 ათ. ლარი;
- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი - 105,8 ათ. ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთი - საქართელოს მთავრობის 2022 წ. 17 იანვრის # 75 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან გაიხარჯა 1010,8 ათ. ლარი და დასრულდა შემდეგი ობიექტები:

- ქ. ახმეტაში სააკაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 35,9 ათ. ლარი;
- სოფ. არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 13,6 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 177,0 ათ. ლარი;
- სოფ. ალავერდში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 65,8 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 45,8 ათ. ლარი;
- სოფ. ხორხელში იმერლიაანთ უბანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 369,1 ათ. ლარი;
- ზ. ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა №2) რეაბილიტაცია - 145,4 ათ. ლარი;
- სოფ. ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 72,7 ათ. ლარი;
- სოფ. აწყურის შემოსასვლელის ტროტუარების და კიუეტის რეაბილიტაცია - 20,9 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩის ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 17,4 ათ. ლარი;
- სოფ. დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტიაცია - 47,2 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის №926 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთი - ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ილიურთა - ვესტომთა - საჩიღოლო - ვესტმოს და სოფ. ვესტომთა - გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოების საკასო ხარჯი შეადგენს - 655,2 ათ. ლარს.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთით დასრულდა - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და თანმხლები ინფრასტრუქტურის მოწყობა (საკასო ხარჯია - 141,9 ათ. ლარი).

- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ (UNDP) კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში, ახმეტის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა დაფინანსება 42.000 ლარის ოდენობით წოვათას ხეობაში მისასვლელი ალტერნატიული გზის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მოსამზადებლად. პროექტის მომზადება დაფინანსდა UNDP-ის პროექტით

„ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - დეცენტრალიზებული, ეფექტური და ინკლუზიური მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში“.

2023 წლისათვის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებით გზების მიმართულებით გამოყოფილი თანხების საკასო ხარჯი შეადგენს ათ. ლარს:

- ქ. ახმეტაში შატილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია - 20,0 ათ. ლარი;
- სოფ. აწყურის შემოსასვლელის ტროტუარების და კიუეტის რეაბილიტაცია - 23.5 ათ. ლარი;
- სოფ. დუისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია - 100,0 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოება - 267,2 ათ. ლარი;
- ზემო ალვანში შიდა საუბნო გზის (გზა #2) რეაბილიტაცია - 50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ჩაბინაანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია -50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ხორხელში იმერლიანთ უბანში მისასვლელი  გზის რეაბილიტაცია 50,0 ათ. ლარი;
- სოფ. ქვ. ალვნის შიდა საუბნო გზის (გზა I) რეაბილიტაცია 224.9 ათ. ლარი;
- სოფ. ახშნის ველებში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 748,9 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩის I მონაკვეთის რეაბილიტაცია - 523,4 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქ. სტადიონთან მრავალბინიანი კორპუსების ეზოს რეაბილიტაცია - 116,1 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე, ე. წ. ალვნის დასახვევში მდებარე  მრავალბინიანი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია - 66,6 ათ. ლარი;
- ქ.ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე 60 ბინიანი კორპუსი ეზოს რეაბილიტაცია 52,0 ათასი ლარი;
- სოფელ მატანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 88,0 ათასი ლარი;
- ქ.ახმეტაში ვაჟა ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 127,5 ათასი ლარი;
- ქ.ახმეტაში ჭავჭავაძის  ქუჩის რეაბილიტაცია 0 ათასი ლარი;
- სოფელ ბირკიანში სკოლასთან მისასვლელი გზია რეაბილიტაცია-93,3 ათასი ლარი;
- სოფელ დუმასტურში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია-77,4 ათასი ლარი;
- ქ. ახმეტაში ყაზბეგის ქუჩის შესახვევის რეაბილიტაცია-126,0 ათასი ლარი;
- ქ. ახმეტაში ლეონიძის ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია 145,0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის  №301 განკარგულებით დაფინანსებული პროექტების საკასო ხარჯი შეადგენს 631,3 ათ. ლარს. აქედან:

თუშეთში, წოვათის მხარეს, ალტერნატიული გზისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის მოწყობა - 631,3 ათ. ლარი

## წყლის სისტემების განვითარება

მუნიციპალიტეტის ფარგლებში წყლის სისტემების მოვლა პატრონობას მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთად ახორციელებს **ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი,**

აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად და არსებულის მოვლა-პატრონობისთვის, გეგმით გათვალისწინებული იყო **1904,1 ათ. ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა გეგმის 94,5% - 1799,2 ათ. ლარი.**

პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება.

2023 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოში (თუშეთში) შევიდა ექსპლუატაციაში 1 ახალი წყლის სათავე ნაგებობა, მოეწყო 3 ახალი ჭაბურღილი (საკობიანო, ყვარელწყალი, არგოხი), სოფელ ხადორსა და ქისტაურში რეაბილიტირდა სასმელი წყლის სისტემის შიდა ქსელი, ხოლო დუისისა და ქისტაურის სასმელი წყლის სათავე ნაგებობებზე მოეწყო საქლორატოროები. საერთო ჯამში 6800 - მდე ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში წყლის სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით გათვალისწინებული იყო 372,8 ათ. ლარი, გახარჯულია 369,8 ათ. ლარი. გეგმის 99,2%. აქედან:

- ტექნიკური ზედამხედველობა - 25,7 ათ. ლარი
- სოფ. ხადორში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა - 43,3 ათ. ლარი
- სოფ. ქისტაურში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და სათავე ნაგებობაზე საქლორატოროს მოწყობა- 78,7 ათ. ლარი
- დუისში, სასმელი წყლის სათავე ნაგებობაზე საქლორატორების მოწყობა – 17,8 ათ. ლარი
- ყვარელწყლისა და საკობიანოს ელ. ენერგიაზე დაერთება, საბუეს წყალსადენზე ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდა - 9,2 ათ. ლარი

ადგილობრივი ბიუჯეტიდან წყლის სისტემების რეაბილიტაციის მიმართულებით ნაშთის სახით აისახა :

- სოფ. საკობიანოს ჭაბურღილის მოწყობა - 71,5 ათ. ლარი
- სოფ. ყვარელწყალში ჭაბურღილის მოწყობა - 64,7 ათ. ლარი
- სოფ. არგოხში ჭაბურღილის მოწყობა - 10,8 ათ. ლარი
- სოფელ ომალოს (პანკისი) წყალსადენის რეაბილიტაციის თანადაფინანსება - 34,7 ათ. ლარი

- ტექნიკური ზედამხედველობის ნაშთი - 3,9 ათ. ლარი.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება -10,6 ათასი ლარი

საქართველოს მთავრობის 2022 წლის №926 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთის საკასო ხარჯი - სოფ. ომალოს (პანკისი) წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაციისათვის შეადგენს - 115,9 ათ. ლარს,

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით დაფინანსდა და დასრულდა სოფ. ომალოში (თუშეთში) წყალმომარაგების სათვისა და მაგისტრალის მოწყობა - 618,4 ათასი ლარით.

## გარე განათება

გარე განათების სისტემების მოვლა-პატრონობასა და ფუნქციონირებაზე 2023 წლის განმავლობაში გახარჯულია 641,6 ათასი ლარი.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური**

ს მიერ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება ცენტრალურ და პერიფერიულ ქუჩებზე არსებული გარე განათების ხაზების მოვლა-პატრონობა. დაზიანებული ელ. ნათურების შეცვლა ენერგოეფექტური ელ. ნათურებით. ძველი ელ. სადენების შეცვლა იზოლირებული კაბელით (გასიპვა), თანამედროვე დიოდური სისტემების შეძენა, მონტაჟი. რისთვისაცა დაიხარჯა 320,8 ათსი ლარი.

გარე განათების სისტემებზე 2023 წლი განმავლობაში დახარჯულია ელექტროენერგიის ღირებულება 320,8 ათასი ლარი.მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთო გარემო - განათებული ქუჩებითა და გზებით.

# ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა

ტურისტული ობიექტების ხელმისაწვდომობის მიზნით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტურისტულ ობიექტებს.

ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო შემდეგ ობიექტებზე:
საქართველოს მთავრობის 2021 წლის №1419 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გახარჯულია 1184,9 ათ. ლარი და 2023 წელს დასრულდა:

- ქ. ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა - 267,7 ათ. ლარი
- ციხე-ქალაქ კვეტერას ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით - 843,1 ათ. ლარი(2023 წლის ხარჯი)
- თუშეთში „ხითანას“ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - 74,1 ათ. ლარი (2021 წლის ნაშთი )

## ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|---|
| **03 00** | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **3,581.6** | **3218.6** | **89.9%** |
| **03 01** | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1,139.3 | 1044 | 91.6% |
| **03 02** | გარემოს დაცვა | 901.6 | 818.3 | 90.8% |
| **03 02 01** | თუშეთის დაცული ლანდშაფტი | 519.4 | 437.1 | 84.2% |
| **03 02 02** | ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი | 382.2 | 381.2 | 99.7% |
| **03 03** | კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში | 1,540.7 | 1356.3 | 88.0% |
| **03 03 01** | სანიაღვრე არხების მოწყობა | 173.5 | 162.5 | 93.7% |
| **03 03 03** | სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა | 587.9 | 583.8 | 99.3% |
| **03 03 04** | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 779.3 | 610 | 78.3% |

## -დასუფთავება და ნარჩენების გატანა

### . ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური

უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგვება ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართია 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგძეა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან.

2023 წელს გაიხარჯა 1044,0 ათასი ლარი

**ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"**განმავლობაში აიპის მიერ გახარჯულია 437,1 ათსი ლარი

ქვეპროგრამის შედეგია თუშეთისა და სამუხის როგორც ზოგადსაკაცობრიო საუნჯის, უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა. UNESCO – ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და ზურმუხტის ქსელის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება საყოველთაო ხელწვდომის პირობებში.

**ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი** ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა (,,წყაროების", ,,ბახტიონის", ,,შვეიცარიის", ,,ხორხლის") და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის  გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი ,,წყაროების" ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის  დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ტყე-პარკ  ,,წყაროებში"  წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება მთელ ტერიტორიაზე. ტყე-პარკ  ,,ბახტრიონის" გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან  გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე.აიპის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობაა **381,2 ათასი ლარი**

## კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში

2023 წლის განმავლობაში, ახმეტის  მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ახმეტაში აიგო
4072 გრძ/მ სანიაღვრე არხი,
პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმარულებით, ისეთი ქვეპროგრამები როგორიცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხევების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია
პროგრამის მიზანი ა უსაფრთხო გარემოს შექმნა

## სანიაღვრე არხები

ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.

2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში სანიაღვრე არხების მოწყობის მიმართულებით გათვალისწინებული იყო 173,5 ათ. ლარი. გახარჯულია 162,4 ათ. ლარი. გეგმის 93,6%. აქდან:

- სოფელ მატანში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 83,3 ათ. ლარი
- სოფელ ბაბანეურში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 9,0 ათ. ლარი
- ქ. ახმეტაში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა - 64,3 ათ. ლარი
- საპროქტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 1,5 ათ. ლარი
- ტექნიკური ზედამხედველობა - 4,4 ათ. ლარი

## ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია

ქვეპროგრამით ხორციელდება მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.
სულ ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის მიზნით გეგმით გა თვალისწინებული იყო 779,4 ა თ. ლარი. საკასო შესრულება შეადგენს 610,0 ათ. ლარს, გეგმის 78,3 %.

ქ. ახმეტაში ალაზნის სარწყავ არხზე დამცავი ზღუდარების მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 544,2 ათ. ლარი. 2023 წლის რეგ. პროექტების ფონდიდან გადახდილია 400,3 ათ. ლარი, 2022 წლის №75 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან 107,7 ათ. ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებამ შეადგინა 36,2 ათ. ლარი.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **04 00** | **განათლება** | **6,515.2** | **6095.4** | **93.6%** |
| **04 01** | სკოლამდელი განათლება | 5,822.6 | 5570.9 | 95.7% |
| **04 01 01** | ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრი | 3,846.6 | 3794.1 | 98.6% |
| **04 01 02** | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა(საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში) | 1,976.0 | 1776.8 | 89.9% |
| **04 02** | ზოგადი განათლება | 692.6 | 524.4 | 75.7% |

•საბავშვო ბაღები.

პროგრამის განმახორციელებელია ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი" .

სულ სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის 2023 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 5822,6 ათსი ლარი,ფაქტიურად გაიხარჯა 5570,9 ათსი ლარი

ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. 2023 წლის განმავლობაში მიღწეულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით,რიგი ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) მოწესრიგება ბაღის პროგრამები სრულყოფილია და მოქნილი.

- რებილიტირებულია შემდეგი საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა:
- სოფ. ახალშენის საბავშვო ბაღში მოეწყო სასაწყობო ოთახი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახურავს - 17,9 ათ. ლარი
- დასრულდა სოფელ კოროთოს საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია - 260,7 ათ. ლარი
- სოფ. ბირკიანის საბავშვო ბაღში შიდა დარბაზის რეაბილიტაცია - 21,9 ათ. ლარი
- სოფ. არგოხის საბავშვო ბაღის ღობის რეაბილიტაცია - 22,9 ათ. ლარი
- სოფ. ომალოს საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაცია - 16,9 ათ. ლარი
- დასრულდა აწყურის საბავშვო ბაღის მშენებლობა - 169,9 ათ. ლარი

- შეძენილია ავეჯი აწყურის და კოღოთოს ბაღებისთვის  -23,3 ათ. ლარი
- სოფ. ოჟიოს საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 698,5 ათ. ლარი;
- სოფ მატნის #1 საბავშვო ბაღის რეკონტრუქცია-რეაბილიტაცია - 603,0 ათ. ლარი. (მიმდინარე პროექტია - დასრულდება 2024 წელს. სრული სახელშეკრულებო ღირებულებაა 788,9 ათ. ლარი)

ზოგადი განათლების ხელშეწყობა

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების  ინიციატივითა და  მხარდაჭერით დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების2022-2023სასწავლო წლის  წარჩინებული კურსდამთავრებულები.

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2023 წლის გეგმა | 2023 წლის ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|---|
| **05 00** | **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი** | **3,534.7** | **2982.7** | **84.4%** |
| **05 01** | სპორტის სფეროს განვითარება | 1,856.4 | 1339.8 | 72.2% |
| **05 01 01** | სპორტული დაწესებულებების  ხელშეწყობა | 1,193.4 | 1157.1 | 97.0% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **05 01 01 01** | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება | 856.4 | 821.1 | 95.9% |
| **05 01 01 02** | ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა | 101.6 | 101.6 | 100.0% |
| **05 01 01 03** | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი" | 235.4 | 234.4 | 99.6% |
| **05 01 02** | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 35.0 | 28.6 | 81.7% |
| **05 01 03** | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 628.0 | 154.1 | 24.5% |
| **05 02** | კულტურის სფეროს განვითარება | 1,399.2 | 1379.5 | 98.6% |
| **05 02 01** | კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი | 851.1 | 839.8 | 98.7% |
| **05 02 01 04** | ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება | 529.8 | 521.4 | 98.4% |
| **05 02 03** | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში | 18.3 | 18.3 | 100.0% |
| **05 02 03 02** | კლუბები | 18.3 | 18.3 | 100.0% |
| **05 03** | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 195.0 | 181.9 | 93.3% |
| **05 04** | საინფორმაციო ცენტრი | 83.1 | 81.6 | 98.2% |

| | |
|---|---|
| | |

კულტურისა და სპორტის მიმართულებით დაგეგმილი იყო 3534,7 ათასი ლარი,ფაქტიურად გაიხარჯა 2982,7 ათსი ლარი

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

**ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით 2023 წლის გეგმა შეადგენდა 2483,9 ატასი ლარს ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1747,4 ათასი ლარი. მშ. მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების მიმართულებით გახარჯულია 1514,0 ათასი ლარი.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **06 00** | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2,483.9** | **1,747.4** | **70.3%** |
| **06 01** | ჯანმრთელობის დაცვა | 244.9 | 233.4 | 95.3% |
| **06 01 01** | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 116.9 | 108.8 | 93.1% |
| **06 01 02** | ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია | 128.0 | 124.6 | 97.3% |
| **06 02** | სოციალური დაცვა | 2,238.9 | 1,514.0 | 67.6% |
| **06 02 01** | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 485.7 | 387.9 | 79.9% |
| **06 02 02** | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 265.0 | 170.8 | 64.5% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **06 02 03** | სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება | 775.2 | 263.8 | 34.0% |
| **06 02 04** | მოსახლეობის ტრანსპორტით მომსაუხრების პროგრამა | 32.0 | 29.9 | 93.4% |
| **06 02 05** | უმწეოთათვის უფასო კვების პროგრამა | 630.3 | 611.1 | 97.0% |
| **06 02 06** | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 10.8 | 10.6 | 98.1% |
| **02 06 07** | წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა | 40.0 | 40.0 | 100.0% |

სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა, რომელიც დაფინანსდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის  განმავლობაში

| N | პროგრამის<br>დასახელება | ბენეფიციარი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | სამედიცინო მომსახურების დაფინანსება | 901 | |
| 2 | მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება | 156 | |
| 3 | სასურსათო პაკეტები 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებისათვის სააღდგომოდ და საახალწლოდ | 69 | |
| 4 | სასურსათო პაკეტები 18 წლამდე უდედმამო ბავშვებისათვის სააღდგომოდ და საახლწლოდ | 6 | |
| 5 | სასურსათო პაკეტები  თუშეთში მუდმივად მცხოვრებთათვის საახალწლოდ და სააღდგომოდ | 45 | |
| 6 | მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი)  მუდმივად<br>და სეზონურად მცხოვრებ პირთა  პირველადი<br>სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების შეძენა | - | |
| 7 | მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების“ სტატუსის მქონე პირთა მოზამთრე ოჯახებისთვის 15 კუბურ მეტრამდე  მე-2 ხარისხის მერქნის (საშეშე მერქანი საჭიროების მიხედვით) შეძენა | - | |
| 8 | 95 წელს გადაცილებულ პირთა დახმარება | 12 | |
| 9 | ახალშობილთა ოჯახების დახმარება | 72 | |
| 10 | უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯი | 1 | |
| 11 | დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯი | 12 | |
| 12 | უსინათლოთა დახმარება | 23 | |
| 13 | ელექტროენერგიის ან ბუნებრივი აირის  გადასახადის თანადაფინანსება | 72 | 1.მრავალშვილიანი  ოჯახ ები (4 ან მეტი შვილი)<br>2. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 3. ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 65000-80000 მდე |
| 14 | რეინტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარება | 1 | |
| 15 | დაუნოს სინდრომის მქონე პირთა დახმარება | 9 | |
| 16 | აუტისტური სპექტრის მქონე პირთა დახმარება | 7 | |
| 17 | ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების დახმარება | 19 | |
| 18 | განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან | 34 | |
| 19 | სამამულო ომის ვეტერანთა სადღესასწაულო დახმარება | 1 | |
| 20 | ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯები | 2 | |
| 21 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების დახმარება | 9 | |
| 22 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე შშმ პირთა ერთჯერადი დახმარება სარეაბილიტაციო | 7 | |
| 23 | ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში დახმარება | 2 | |
| 24 | სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ბინის ქირის ხარჯი | 1 | |
| 25 | ა (ა) იპ ,,სოციალური სახლის" უფასო სასადილოს დაფინანსება | 370 | |
| 26 | ლოგინს მიჯაჭვული და სხვადასხვა პათოლოგიების გამო მუდმივად პამპერსით მოსარგებლე<br>პირების დახმარება ჰიგიენური საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით;“ | 91 | |
| 27 | დიაბეტით და სხვა ფერმენტოპათიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვთა შესაბამისი კვების<br>პროდუქტების შესაძენად დახმარება ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით | 7 | |
| 28 | 100 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა დახმარება | 7 | |
| 29 | ძალადობის მსხვერპლი პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა | - | |
| | ს უ ლ | 1 936 | |

## 4.მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლები;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლები შემდეგია გეგმა 10406,9 ათასი ლარი, ფაქტობრივი, საკასო ხარჯი 9986,5 ათასი ლარი (95,6% )

| | დასახელება | 2023 წლის გეგმა | ფაქტი |
|---|---|---|---|
| 1 | ა(ა)ი პ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი | 547000 | 473506 |
| 2 | ა(ა)ი პ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური | 1139300 | 1043986 |
| 3 | ა(ა)ი პ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური | 334000 | 320790 |
| 4 | ა(ა)ი პ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია | 701643 | 604425 |
| 5 | ა(ა)ი პ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი | 382200 | 381402 |
| 6 | ა(ა)ი პ საბავშვო ბაღების ცენტრი | 3846600 | 3793729 |
| 7 | ა(ა)ი პ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო სკოლა | 856412 | 821072 |
| 8 | ა(ა)ი პ ახმეტის საფეხბურთო სკოლა ,,ბახტრიონი" | 240400 | 239441 |
| 9 | ა(ა)ი პ კულტურის ცენტრი | 851100 | 839801 |
| 10 | ა(ა)ი პ მამიაურის სახელოვნებო,შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება | 565022 | 556569 |
| 11 | ა(ა)ი პ საინფორმაციო ცენტრი | 83100 | 81558 |
| 12 | ა(ა)ი პ ახმეტის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 128277 | 117546 |
| 13 | ა(ა)ი პ სოციალური სახლი | 630300 | 611075 |
| | | 10305354 | 9884900 |
| | გაუქმებამდე (ა)ი პ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლის ხარჯი( შეუერთდა აიპ კომპლექსურ სკოლას) | 101600 | 101600 |
| | | 10 406 954 | 9 986 500 |

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური